



ბორჯომი

7 ნოემბერი
საბუნების
2024 წელი
№45 (9359)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ირაკლი კობახიძე: უსსოთიდან ქართული რეკონსტრუქციის დაფინანსება სრულად გამჭვირვალე უნდა იყოს!

„ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევები: მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გამჭვირვალობის შესახებ“. როცა ვინმე, ვინც სარგებლობს უცხოური დაფინანსებით, ცდილობს რეკონსტრუქციის წახალისებას საქართველოში, ჩვენ ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში მისი დაფინანსება უნდა იყოს სრულად გამჭვირვალე, ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონით არ იზღუდება ადამიანის უფლებები. აქ საუბარია პროპაგანდის შეზღუდვაზე. ეს კანონი პასუხის ადამიანის უფლებათა სტანდარტებს!“



საქართველოს მთავრობა ერთმნიშვნელოვნად პარაპროპაგანდას - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტი ირაკლი კობახიძე იბარებს საბუნების რეკონსტრუქციის კანონს.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს კონსტიტუციამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად განსაზღვრულია, რომ ყველა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას.

„ჩვენთვის აქ არჩევანის საკითხი არ დგას, რადგან საქართველოს კონსტიტუციამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად განსაზღვრულია, რომ ყველა ხელისუფლებამ ძალ-ღონე არ უნდა დაიმუროს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. მთავრობა ერთმნიშვნელოვნად პროპაგანდას უარყოფს“, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ჩვენ არ გვაქვს არავითარი დიპლომატიური ურთიერთობები, რუსეთის ფედერაციასთან, რადგან ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტით ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

საქართველოს სენატორი საარჩევნო კომისიაში

ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი და მისი მოადგილე გიორგი შარაბიძე „არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის“ (ENEMO) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდნენ და 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.



გიორგი კალანდარიშვილმა შეხვედრის მიმდინარეობისას დეტალურად ისაუბრა 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ადმინისტრაციის მიმართ გამოითქმული ბრალდებების და დეზინფორმაციული კამპანიის შესახებ. მან მისიის წარმომადგენლებს ამ მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის პოზიციაც გააცნო.

ENEMO-ს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს არჩევნების ანგარიშის ნიხასწარი მიგნებები და რეკომენდაციები გააცნეს. აღნიშნულ ანგარიშში ადმინისტრაციის საქმიანობა და აქტივობები დადებითად არის შეფასებული.

დონალდ ტრამპი: ბაიდენის პოლიტიკა რუსეთი და ჩინეთი გააერთიანებს, რას კალიან სანიფათო!




ბაიდენის პოლიტიკამ რუსეთი და ჩინეთი გააერთიანა, რაც ძალიან საზიზღოა, - ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა სოციალურ მედიის მეშვეობით განაცხადა. ტრამპი მხარდამჭერებთან შეხვედრის დროს განაცხადა. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის თქმით, მოქმედი პრეზიდენტისგან განსხვავებით, მას შეუძლია რუსეთის და ჩინეთის კვლავ განცალკევება. დონალდ ტრამპმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ არ გააერთიანებს რუსეთს და ჩინეთს, რაც ომის წაგების მსგავსია. „ერთი რამ, რაც არასდროს გვიწოდებდა გვეხილა, არის რუსეთის და ჩინეთის გაერთიანება. ჩვენ ვაგაერთიანებთ ისინი. ბაიდენმა გააერთიანა ისინი. ეს სირცხვილია და სისულელეა, რაც გააკეთეს. მე მომიწევს მათი დამორჩევა. ვფიქრობ, რომ მე შემიძლია ამის გაკეთება. ისინი ბუნებრივ მტრებს არიან, რადგან რუსეთს აქვს უზარმაზარი მინა და ეს ჩინეთს სჭირდება. ჩინეთს არ აქვს მინა მოსახლეობისთვის. ისინი ბუნებრივი მტრები არიან და ჩვენ დაფუძნებთ მათ ერთად ყოფნა. ეს ძალიან საზიზღოა რამ არის“, - განაცხადა დონალდ ტრამპმა.

სოციალური პროგრამები - მოქმედავები

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, ოქტომბერში, 1 412 ბენეფიციარს 410 283 ლარის დახმარება გაენია.
- მათ შორის:
 - 226 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 178 303 ლარი გამოიყო;
 - 113 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 22 050 ლარით დაფინანსდა;
 - ონკოლოგიური დაავადებების მქონე 45 პაციენტი 37 280 ლარით დაფინანსდა;
 - 108 მრავალშვილიანი ოჯახი 26 050 ლარით დაფინანსდა;
 - 100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს 200-200 ლარი ჩაერიცხა;
 - ახალშობილების პროგრამის ფარგლებში, 119 ბენეფიციარს 12 300 ლარი ჩაერიცხა;
 - ასევე, სოციალურად დაუცველ 528 ოჯახს, სამუშეო მერქნის შესაძენად 200-200 ლარის ოდენობით, დახმარება გაენია. ზამთრის კომუნალური გადასახადის სუბსიდირების ფარგლებში 105 600 ლარი გამოიყო.
- სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.
- აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

გზის საკაპილიზაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს



ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის II ეტაპი მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ბერის საყდრებამდე მისასვლელი გზის 1.5 კმ-იან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი იწყობა. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და სამუშაოებს შპს „ამხანაგება გზა-2023“ ასრულებს. პროექტის მიზანია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, პროექტის I ეტაპზე გზის 600-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია განხორციელდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთში მიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, გზის 750 მეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი იწყობა, ეწყობა საყრდენი კედლები და სანიაღვრე სისტემა. სამუშაოებს შპს „მშენებელი - 2012“ ასრულებს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



დასახუარებული აღიარება

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე დაინიშნა. იგი ამ საპატიო მოვალეობას ახლადარჩეული პარლამენტის მუშაობის განახლებამდე შეასრულებს. პარლამენტი უახლოეს დღეებში სპორტის მინისტრად დამტკიცებს.



შალვა გოგოლაძე დაიბადა 1979 წლის 15 მარტს ქალაქ ბორჯომში, დაამთავრა ბორჯომის N2 საშუალო სკოლა. პროფესიული განათლება მიიღო ორი მიმართულებით: დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (2000 წელს) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (2005 წელს). 2005 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სერტიფიცირებული ადვოკატია, 2007-2009 წლებში იურიდიული კომპანია „გოგოლაძე და პარტნიორების“ მმართველი დირექტორია; 2018-2021 წლებში იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე; ამაჟამად, სპორტის ტურიზმის და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტი. ყველა ზემოთ ხსენებულ თანამდებობაზე ყოფილიყვნა მისი ხელმძღვანელობით განვითარდა და დაიხვეწა სპორტის მართვის სისტემა, გატარდა შესაბამისი რეფორმები. საქართველომ უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებს, მათ შორის ხელშეწყობა სპორტსმენებმა საუკეთესო შედეგები აჩვენეს. იგი ხელმძღვანელობს სპორტკომპლექს „არენა“-ს, რომელიც ერთადერთი მულტიფუნქციური სპორტული სივრცეა საქართველოში, სადაც დღესდღეობით სრულიად უფასოდ ეზიარებიან მომავალი თაობის სპორტსმენები. 2019 წელს გიორგი გოგოლაძე ქალაქ ბორჯომის საპატიო მოქალაქედ აღიარეს. ვულცავთ ბატონ შალვას დამსახურებულ აღიარებას, გვენამს, მინისტრის რანგში ღირსეულ წვლილს შეიტანს ქვეყანაში სპორტის განვითარების საქმეში.

